ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №35

29 იანვარი 2014 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე ორი ერთეული სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი – №28.12.21.087; №28.12.21.088) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად შეძენის მიზნით დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, ,,ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–4 მუხლის დ) პუნქტის, მუნიციპალიტეტის ერკეთის თემის ტერიტორიული ორგანოს 2014 წლის 13 იანვრის №3 წერილისა და მუნიციპალიტეტის ერკეთის თემის ტერიტორიული ორგანოს მოსახლეობის 2014 წლის 9 იანვრის საერთო კრების №2 ოქმის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ერკეთში მდებარე ორი ერთეული სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადსტრო კოდი – №28.12.21.087; №28.12.21.088) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებად შეძენის მიზნით შეიქმნას დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

– მაია კუტუბიძე - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;
– ერეკლე მრელაშვილი - სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - წევრი;

- ზურაბ ჩანტლაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი - წევრი;
- ვლადიმერ ლომთათიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;
- გია გიორგაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;
- მარინე ბერაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;
- ვლადიმერ გოგიბერიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ–ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - წევრი;

2. დაევალოს კომისიას მხარეთა შორის შესაბამისი ურთიერთშეთანხმების აქტის გაფორმება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. № 4.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*